№ 14 31 იანვარი, პარასკევი 1866—1875 31 იანვარი, პარასკევი № 14

დროება

რედაქცია

მოლნინის (აბას-აბატის) მაედანზე, ულორლანოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. Цѣлый номеръ—ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ., პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

საქართველო

სხდომები ბანკის თაობაზე

ბუშინ წინ, იანვრის 29-ს, კომისიამ წარუდგინა აქაურ თავად-აზნაურობის არა-ჩვეულებრივ საზოგადო კრებას იმ კითხვების გადაწყვეტილება, რომელიც მინდობილი ჰქონდა.

როგორც „დროების" წინანდელ ნომერში იყო მოხსენებული, კომისიას შემდეგი სამი კითხვა უნდა განესაზღვრა:

ა) ბაუყოფელს შვილს, მამის სიცოცხლეში, აქვს უფლება ბანკის მონაწილეთ იყოს, თუ არა? — კომისიამ კანონის თანახმად გადაწყვიტა—არა აქვ ო და კრებამაც კენჭის უყოლად მიიღო ეს გადაწყვეტილება.

ბ) ბლეხ-კაცებისათვის ფულების მიღების შემდეგ განაყოფთ შვილებს აქვთ უფლება ბანკში მონაწილეობის მიღებისა, თუ არა?—კომისიამ ამ კითხვაზედაც ისეთივე პასუხი სთქვა: არა აქვ ო, თუ მშობლებს განაყოფი შვილებისათვის კვიტანციაც არ გადაუცია თო. კრებამ ამ გადაწყვეტილებაზედაც, უკენჭოთ, თანხმობა განაცხადა.

მესამე კითხვა იყო შემდეგი:

გ) ბანაყოფთ შვილებს, ბანკის საქმეებში, ყველას ერთი საზოგადო ხმა აქვთ, თუ თვითეულს თითო ხმაო? კომისიამ ამის თაობაზე შემდეგი გადწყვეტილება წარუდგინა კრებას: მამისაგან გაყრილს შვილებს ყველას ერთი ხმა აქვთ და ვინც შემდეგ შვიტანს ფულს, კვიტანციის და გვარად მიეცემა ხმაო.

სანამ ამ საგანს პირდაპირ შეეხებოდნენ კრებაში, დიდი სჯა და ბაასი კვიტანციების მნიშვნელობის თაობაზე შეიქნა. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ვისაც კვიტანცია აქვს ფულის შეტანისა, ბანკის მონაწილეც ის არისო; ზოგნი ამბობდნენ, რომ კვიტანცია შეიძლება ისეთს კაცს ჩაუვარდეს ხელში, რომელსაც, ჩვენი წესდების ძალით, ბანკში მონაწილეობის უფლება არა აქვთ; სხვები ამტკიცებდნენ, რომ შეიძლება კვიტანცია არ ჰქონდეს აზნაურს, მაგრამ ამით, თუ კი ერთხელ შეუტანია ფული, ბანკში მონაწილეობის უფლება არეკარგებაო.

ამ საგნის თაობაზე არ შეიძლება არ დაეთანხმოს კაცი იმ მ'ჯელობას, რომელიც უფ. ალექსიშვილმა წარუდგინა კრებას. ის ამბობდა, რომ ჩვენს ბანკში მონაწილეობის მისაღებათ, კანონით ორი აუცილებელი რამ არის საჭიროო: ერთი—აზნაური უნდა იყოსო და მეორე—კვიტანცია უნდა ექონდეს იმის დასამტკიცებელად, რომ იმას ამ ბანკის დასაარსებელად ფულები შეუტანია. თუ ეს ორი პირობა ერთს კაცში არ არის ერთად, იმას, ჩვენი წე'დებულების ძალით, ბანკში მონაწილეობა არა აქვსო. წარმოიდგინეთ, რომ აზნაურმა თავის კვიტანცია რომელსამე მოქალაქეს მიჰყიდა. ნუ თუ მხოლოთ იმიტომ, რომ ამ მოქალაქეს კვიტანცია აქვს, ჩვენი ბანკის მონაწილეთ უნდა გახდესო? ერთი სიტყვით, აუცილებელად საჭიროაო, რომ ბანკის მონაწილე თფილისის გუბერნიის კეთილშობილი იყოს და თან ბანკის კვიტანცია ჰქონდესო.

საუბედუროთ, კრებამ მაგდენი ყურადღება არ მიაქცია უფ. ალექსიშვილის ლოგიკურ სჯას და, მესამე კითხვის თაობაზე, კენჭის ყრით გადაწყვიტა, რომ გაყრილს დებსა და ძმებს, თუმცა ერთი კვიტანციის მეტიც არ ჰქონდესთ, ყველას ცალ-ცალკე ხმა უნდა ჰქონდესთ ბანკის საქმეშიო.

ჩვენ არ ვიცით, მთავრობა დაამტკიცებდა ამ ცვლილებას თუ არა, მაგრამ, ჩვენის აზრით, ბანკის წარმატებისათვის ის უფრო სასარგებლო იქნებოდა, რომ კვიტანცია მხოლოთ ერთს კაცს აძლევდეს ბანკში მონაწილეობის უფლებას და არა ყველა მემკვიდრეებს. სასარგებლო იქნებოდა მით, რომ მაშინ ყველა ძმები და დები, რომელთაც კვიტანცია არ ერგებოდათ, ბანკში მონაწილეობის მიღებას თუ ისურვებდნენ, იძულებული იქნებოდნენ ფულები შეეტანათ ბანკში და ახალი კვიტანცია აეღოთ. ამით ბანკს, უეჭველია, საშუალება მოემატებოდა.

ს. მესხი.

ფელეტონი

იმერლები

რომანი

პირველი თავი

IV

არჩევანი

შეშინებულმა ალუკნიამ რომ გული მოიბრუნა, ძალდატანებითის ღიმილით მიუბრუნდა ალუკნიას და ხმა-ტკბილად უთხრა:

— ბიჭო, ასე საშინლად როგორ შემაშინე?!

ალუკნიამ მოწიწებით და თანაც ლაქუცით მიუგო:

— არა მჯერა, რომ ის ლომი, რომლისაგანაც იმერეთი ძრწოდა, ძალლის ერთმა შეკეფამ შეაშინა!

მოხუცს იამა ეს მოსწრებული ნათქვამი სიტყვა, მაგრამ მაინც ხენეშით სთქვა:

— მართალია, ლომს, არა თუ ერთი ძალლი, ხროც ვერ შეაშინებს, მაგრამ შეაწუხებს კი და არც ეს არის სასიამოვნო! ის ძალლები, ისინი, უნდა მოეიშოროთ! ბესმის? მისთვის დაგიბარე, რომ ერთად რამე ვარჩიოთ... თუ ისინი იქმნენ, ჩვენ ყოველ'ს დღე თან და თან პატივი გვაკლდება, სულ ემცირდებით! ბესმის, ემცირდებით ხალხის თვალ'ში!... ან ჩვენ და ან ისინი!! ბესმის?

— ბრძანეთ!.. იყავ ნება თქვენი!! მიუგო ალუკნიამ.

— ბრძანება ადვილია! ასრულება კი არსად სჩანს!

— ცდა არ'ს დაგვიკლია.

— ცდაც არის და ცდაც.

— თავი არ დაგვიზოგავს.

— მაშ რატომ ვერ შეეაწუხეთ?

— ვერ შეეაწუხეთ? ჰმ.— რამ უნდა შეაწუხოსთ, თუ კი არას დაჰკარგვენ და რა დაჰკარგონ, რომ დასაკარგავი არა აბადიათ რა? მათთვის პირადობა, კერძოობა აი ეს არის! ფრჩხილი მიიდვა კბილზედ და დააწკატუნა.

— ეგ კი მართალია!..

აქ ერთი მწარედ ამოიხვნეშა და ჩაფიქრდა. მერე ისევ განაგრძო:

— მით უფრო სირცხვილი ჩვენთვის.. ლარიბ-ლატაკები.. უხარის ხოები.. შერისხულები.. სიცოცხლეს გვიმწარებენ ჩვენ? მდიდრებს!.. დაჯილდოებულებს!!... და კეთილად შემცნეულებ ?! სასაცილოა!

— სსსუუ! ნუ გამოესტყებით!..

— სანამდე? შუბი ხალხაში არ დაიმალება!! მდაბალი ხალხი მათი თანა-მგრძნობია!!...

— მაგრამ ჯერ კი, სანამ ხალხი პირუტყვობაშია, ისევ ეხედნით!

— მაგას „ძალათ-მაცხონე" ჰქვიან.

— რა გვეწაღვლება? ოღონდ კი გვეყმოს ვინმე და გინდ ნებით იყოს და გინდ ძალით.— სასარგებლოთ ერთი იქნება. ჯორს მხედარი არ უყვარს, მაგრამ, ვინა ჰკითხავს: უნაგირს ადგმენ და აქეთ-იქით ათოხარიკებენ...

— ვაი მხედარს, თუ ჯორი რისგანმე დაუფრთხა: გადმოაგდებს და ძირს დაცემულს რომ ნახავს, სასიკვდილოთ წიხლებსაც მიარტყავს.

— რა გაეწყობა: ვინც მხედრათ არ ეარგია, ის ნურც შეჯდება.

— კი, მაგრამ თავ-გამომეტებულ ჯორზე მხედარი ეღარ შერჩება!... რაღაი კი იკვინტებს, მშვიდობით: თუ გადახტომა მოასწრო, ხომ კარგი. თორემ ვაი გვერდებს!

— ჩვენი ჯორი ჯერ კიდევ მაგრე არა ფრთხის.

— „ისინი" მისთანა მეჯინიბეები არიან, რომ იმ ჩვენს ჯორს მალე გადაგვირევენ. სხვა თუ ეღარა მოახერხეს რა, ბუზანკალათ გადიქცევიან.

— მაგის მეც თანახმა ვარ, მაგრამ... მაგრამ მაშინ ჩვენ ბუზანკლებს ჩიტები მივუსიოთ.

— მივუსიოთ, თორემ იმდენს გავხდებით, რამდენიც დღემდი...

— დღემდი თუ ვერას გაეხდით, ეს თქვენივე ბრალია: რათ ხმარობდით უნაყოფო საშუალობებს?

— მაგას სტყუვი!.. რაც კი მოგვეხერხებოდა, თავი არ დაგვიზოგავს.

— შანგარიშო ცდა და შრომა ჩიტების რეკაა!

— არა, ჩვენი მოქმედება სულ სხვა გვარი იყო!—ანგარიშიც გვქონდა და საფუძველიც. ბანა შენ თვითონ კი არ იცი?

დღიური

□ თფილისში ამ უკანასკნელ დღეებში გავარდა ხმა, რომ ალაბარის ერთმა სოფეხმა — ალაჯანმა — რამდენიმე კაცი შეკრიბა და ავაზაკობსო. მართლაც, რამდენსამე პირს დასხმიან ჯერ ალაბარში და მერე იანვრის 25-ს თვით ქალაქში დაეცნენ თ. შახოვსკოის სახლს. მაგრამ პოლიციას წინათვე შეუტყვია, რომ ალაჯანი თავის ბიჭებით იმას ღამე დაცემას უპირებს; მაგრამ პოლიციის კომანდა მზათ ყოფილა და მარჯვეთაც დახვედრია. ალაჯანის ამხანაგებიდამ ორი მოუკლავთ და ერთი დაუჭერიათ; დანარჩენი კი და მათ შორის ალაჯანიც გაქცეულან.

ბუშინ გავიგონეთ, რომ ამ ავაზაკების მოთავე—ალაჯანი დაუჭერიათ.

□ იმ თავად-აზნაურებისათვის, რომელთაც ბანკში არ შეუტანიათ ჯერ ფული და მაშასადამე მონაწილე არ არიან, ორი თვის ვადაა დანიშნული, რომ შეიტანონ. ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ რამდენიმე დღის განმავლობაში ოცდა ათ კაცამდინ შეტანა ხვედრი ფულის წილიო და ამნაირად ბანკის მონაწილე გახდნენო.

□ ჩვენი თავად-აზნაურობის არა-ჩვეულებრივმა კრებამ, ცოტა არ იყოს, ქალაქსაც არა-ჩვეულებრივი შეხედულობა მისცა: კარგა ძალი თავად-აზნა-

ურობა ჩამოვიდა ამჟამად ქახეთიდამ და ქართლიდამ ასე, რომ ყურთმაჯებიან ხალხს, დარდიმანდულის შეხედულობით ჩვეულებრივზე უფრო მომეტებულს შეხვდებით ახლა ჩვენს სხვა და სხვა ტომის წარმომადგლებისაგან აჭრელებულს ქალაქში,

□ ბაზეთს „კავკაზში“ იწერებიან, რომ ალაზნის მინდორში არხის გაყვანაზე ხელ-ახლავ შეიქნა ლაპარაკი: გავიგეთო, რომ ამ მოკლე ხანში თ. რ. ანდროკაშვილი და უფ. მასლოვი ერთად იყვნენ ქახეთში ალაზნის მდინარის დასახედავათ, და მერე არხის გაყვანის თაობაზე პროექტი უნდათ შეადგინონო.

თუ ეს უფ. მასლოვი ის მასლოვია, რომელსაც, როგორც გავიგეთ, ტყიბულის ქვანახშირისა და ბევრი სხვა მადნეულობის ყიდვა ჰსურდა (?) იმერეთში, მაშინ მაგდენი იმედი არა გვაქვს, რომ იმისმა კამპანიამ (?) რამე გაარიგოს...

□ ქართველებს ერთი კარგი მუზიკის მცოდნე შვილი ეზრდებათ: ჩვენ ვამბობთ ოლგა დავიდოვის ქალზე, რომელიც ამ ჟამად ლეიპციღშია და როგორც ისმის, თავის დროს ძალიან კარგი მუზიკის მცოდნე ქალი გამოვა. პირველად იმას 1872 წელს ვარშავაში მიუქცევია საზოგადოების ყურადღება, როდესაც ერთს კონცერტში მიუღია მონაწილეობა და მშვენიერად აუსრულებია მენდელსონის კონცერტი. 1874 წელს ერთს ლეიპციღის კონცერტშიც მიუღია მონაწილეობა და იქაური გაზეთები დიდის ქებითა და აღტაცებით იხსენებენ ამ ქართველი ქალის ფორტოპიანოზე დაკვრას და იმის მუზიკალურ ნიჭსა.

„დროების“ კორრესპონდენცია

უვირილა, 23 იანვარს.

მგონი, არცერთი ნომერი ჩვენი გაზეთისა არ არის ისე გამოშვებული' რომ ჩვენების, ცუდ-მოქმედებაებზედ: ქურდობაზედ, ავაზაკობაზედ, კაცის კვლაზედ, ერთმანეთის შურზედ და სხვა ადამიანის პატიოსნების შემარცხვენელ მოქმედებაებზედ არ იყოს ლაპარაკი. ეს ცუდი და შემარცხვენელი მოქმედებანი, ნაცვლად მოსპობისა, ან ცოტათი მაინც შემცირებისა, თან-და-თან უფრო და უფრო ერცელდებიან, იდგმენ ფესვს ხალხში.

გუშინწინ უვირილაში ჩამოვედი და საცა არ გავიარე, ყველგან ათას ნაირ რამეების ლაპარაკს მოვკარი ყური. სხვათა შორის შემდეგი ამბავი გავიგე:

რაღაც სოფელი თქვეს, არ მახსოვს, ეკკლესია აუშენებიათ; მაგრამ სოფლელებს, როგორც მოგეხსენებათ შურით აღვსილი ჩვენი ხალხის ამბავი, ერთმანერთში ლაპარაკი და უთანხმოება მოსელიათ, არ ვიცი: ეკკლესიის სიშორის გამო, თუ სხვა რაზედმე და ბოლოს, რასაკვირველია ბევრი ერთმანერთის ლანძღვის, განხეთქილების და იქნება თავის ტეხის შემდეგ, საქმე ადვილად გაუთავებიათ ორ მოსახლეს წაუკიდებია ცეცხლი ეკკლესიისთვის და მოარჩომიან ყაყანას და დავიდარაბას *)

სოფელს ჩხარში (თუ საჩხერეში,) ვიღაცაებს ორი ეკლესია გაუტეხიათ და კარგა ბლომათ ფულები გამოუტანიათ. ჯერ კარები გაუბურღავსთ და მერე ხერხით ამოუჭრიათ ერთი კარი და ისე შესულან შიგ.

საკვირველია, რომ იმერეთში ბევშვებიც განვითარებულნი და დახელოვნებულნი არიან ამისთანა საქმეებში, განსაკუთრებით ქურდობაში: გუშინწინ, სურამის სტანციაზედ, ვაგონში, ერთმა პატარა 13 წლის იმერელმა ბიჭმა, ვიღაც მგზავრს ქალალდის ფულით საესე ქისა ისე „ამოაცალა“, როგორც იტყვიან ჩვენში, რომ „სიზმარ-ცხადი ვერვინ გაიგო“. მაგრამ ყმაწვილი ჩქარა შეშინდა, როცა ფულის პატრონმა დაიწყო ყვირილი: „მიშველეთ, ფულები მომპარესო!“ და იქვე იღლიიდამ გააგდო ვაგონში. ყმაწვილი დაიჭირეს.

თეოფ. ქანდელაკი

*) როგორც ამბობენ, ეს ორი კაცი დაუჭერიათ.

რაჭიდამ, 19 იანვარს

რაჭიდამ ქუთაისში სამი გზა მიდის: რაჭა-ლეჩხუმის, ნაქერალასი და თხმორის. თითქმის ყველა რაჭველები და ნამეტურ ჩინოვნიკობა სულ რაჭა-ლეჩხუმის გზით დაიარებიან, რადგან ეს გზა ჯერ ერთი რომ ვაკეა, და მეორე—რაც უნდა დიდი ზამთარი მოვიდეს, არ შეიკვრება.

ამ გზის წყალობით ბევრს რაჭის სოფლებს დიდი ზიანი აქვსთ, რომელზედაც ადგილობრივ მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია, და საწყალ გლეხებს, უამისოთაც ბევრი ახირებული გადასახადით შეეწროებულებს, ტყავი სძვრებათ. მე ვამბობ იმას, რომ მარტო ამ გზის შეყოლება (მარცხნივ, როდესაც დაბა ოზნისაკენ მიდიხართ) სოფლებს მართებთ ყოველს სამამასახლისოში ჩინოვნიკებისათვის ყოველ წლობით ცხენების დაყენება და რიონს გაღმით სოფლები (გარდა ნაქერალს გზისათვის ოთხიოდე სოფლისა) ყურსაც არ იპარტყუნებენ.

ბევრად აჯობებდა, რომ მთავრობას ეს მოვალეობა ყველა სოფლებისათვის დაედვა, როდესაც, რომ რამოდენიმე სამამასახლისოში (სულ ათი-თორმეტი არ მეგულება, რომ იქნეს) 15 თუმანზე მეტი ჯდება ცხენების დაყენება. რა უყურთ რომ ბევრი სოფლები ამ გზის დასამხრისათ არ არიან? ფულები გამოიღონ და რიონს გამოღმა მცხოვრებლები თუ უნდათ ფაიტონებს გამართავენ. თუ არა ესცდები, ეს სულ იმის ბრალია, რომ ბუგეულის—ხიდი რიონმა წაგვართვა და ამით გაღმა-ვამოღმელები, სამი წელიწადია, ერთი-ერთმანეთს უღელს ვერ უწევთ.

ადგილობრივ მთავრობამ, რომ ამ ხიდის აუცილებელი საჭიროება იცოდეს, მე დარწმუნებული ვარ, საზოგადოებას მალე გააკეთებინებდა, რადგან ძველი ქვითკირის ბურჯები მაგრად და შეურყეველად დგანან და ხეებისათვის მოსაჭრელი მთა ახლოს არის.

ვ. ჩაიარაშვილი

რუსეთი

✱ ვორონეჟის გუბერნიის ერობის სხდომაში ერთს დეპუტატს ტყეების გაშენებაზე ჩამოუგდია ლაპარაკი. ამ დეპუტატის წინადადებით ერობას გადაუწყვეტია, რომ რადგანაც უტყეობა ჩვენს გუბერნიას ეტბესო, ამის გამო ყველას, ვინც თავის მამულში ტყის გაშენებას განიზრახავს, ყოველ გვარს შემწეობას მიეცემთო, ფულით შეეწევით, ხეებს და თესლებს მუქთად უშოვნითო და სხვ. ამასთანავე ერობას რამდენიმე წეერისაგან კომისია დაუნიშნავს, რომელმანც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს და ყოველი ღონისძიება მონახოს, რომ გუბერნიაში ტყეები გაშენდეს.

✱ ოდესის გაზეთი „ნოვოროსსიის ტელეგრაფი“ გვაცნობებს, რომ ერთი იქაური ქარხნის (ფენდრიხის და ამხ.) მუშებს ყველას ერთად თავი დაუნებებიათ მუშაობისთვისაო. ამის მიზეზი, როგორც ზემოხსენებულს გაზეთში სწერენ, ის ყოფილა, რომ ქარხნის პატრონი ისე ცოტა ქირას აძლევდა მუშებსაო, რომ დღიურ სარჩოთ არა ჰყოფნიდათო.

— ეიცი! ეიცი! ჩამოვიდნენ თუ არა „ისინი“, თქვენ გოგირდის სუნი გეცათ, მაშინვე ხალხს მიჰმართეთ და ჩაასმინეთ, რომ იმათ მამა-პაპის სარწმუნოებაზედ ხელი აუღიათ, ღმერთი აღარა სწამთ, მარხვებს არ ინახავენ, წირვა-ლოცვაზედ არ დაიარებიან, ნათესაობასა სტეხენო და სხ..

— მერე? რა ცუდი მოგვიხერხებია? ერთხანს ხომ გვიჯერებდა ბრმა ხალხი?!

—დიახ, გვიჯერებდა, მაგრამ შემდეგ კი, რაღაი სიმართლე გაიგეს, თქვენ-ვე ჩაგთვალათ ცილის მწამებელად....

— ეგ როდის?

— მაშინ როდესაც დრომ დაანახვა მას, რომ ყოველი, მცნების დამარღვეველი, საქმე ქრისტიანობის მჩემებლებს ემჩნეოდათ და არა „იმათ“. აბა, რომელი მათგანი გაბმულა: დედამის კვლაში, ფიცის გატეხაში, ქურდობაში, ავაზაკობაში, მეძაობაში და სხვ., მაშინ როდესაც ჩვენ კი.....

— სსუ! „ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას...

— „ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“

—გაიცინა ბუცნიამ.—არა! დღეს არა დაშავდებარა.—უნდა გამოესტყდეთ ყველაფერში. „მაშ მკურნალმა ვითარა არგოს,—ხომ გახსოვსთ?.. ხომ-რობა იქით იყოს და ჩვენვე გავ ფუჭეთ საქმე.

— მართალია, ეგ ჩვენი სისუსტე იყო! ქვენსით სთქვა ბუცნიამ და ჩაჰკიდა თავი.

— დიახ, დიახ! მაგან გაგვაშავა ხალხის თვალში. ხალხს სიმართლე უყვარს!... ბევრან მიხვდება, თორემ ოდესმე რომ არ მიხვდეს, შეუძლებელია! ეს, თითქმის, საზოგადო კანონია! დიახ... მიგიხვდათ და შეგიძულათ! ბოლოთ მათკენ არის.

აქ ახლა ბუცნიამ ჩაჰკიდა თავი. ეტყობოდა, რომ შესცურა მწუხარების ზღვაში. ბუცნიამ რომ თავისი ვეზირი ამ მდგომარეობაში ნახა, გაიცინა და ერთიც მისთანა გადაიხარხარა, რომ ბუცნია გამოაფხიზლა... ბუცნიას ეგონა თუ გაგიჟდაო და შეშინებული მიაჩერდა,

— იცი, რამ გამაცინა? უთხრა ნამოძღერალმა. — ორი მთვრალი მომაგონდა, ერთმანეთს რომ ხელსა ჰკიდებდენ ზეზე წამოსაყენებელად და ხან ერთი ეცემოდა და ხან მეორე.... ჩვენც ისე მოგვდის: წელან შენ მამხნევებდი მე გული-გატეხილს და ახლა კი შენვე გეჭირვება გულის გამმაგრებელი.

— სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, არ მოგეხსენებათ? რაც იყო, იყო, ნული მოვიხსენიებთ, მაგრამ აწინდლისთვის კი გვმართებს მოფიქრება! —ხალხი მათი მომხრეა და ჩვენ რიყეზედ ერჩებით!..

— ხა! ხა! ხა! ხა! ეგ რა სთქვი? სუსტის მოხმარება!.. ხალხის შემწეობა... ბანა საჭიროა ჩვენთვის? მონება!.. მორჩილება!—ძრძალვა! აი, რას ვითხოვ ხალხისაგან...

— რომ ვეღარ მოგართვან!.... თმა გადაკვეკილს სამსონს რომ თმა წამოეზრდება, მაშინ დაეცემა კერპების ბომონი.

— ნამეტანს ნებას აძლევ შენს თავს! ნუ კადნიერობ!

— ძარგია ერთი, ღმერთი გადღეგრძელებს, რა დროს შიში და კრძალვა-მორიდებაა იქ, სადაც ორიეერთს ტაფაზედა ვართ და ერთს არჩევანში. რაც გულში გვაქვს, ვილას უფიცავთ?—ძადევ ვიტყვი, მდაბალი ხალხი არ გვემადლიერება და თუ ოდესმე გაგიცნათ...

— ეჰ, ოდე მეო? შორს მიჰფრინავ!—მაშინ როდესაც მე აღარ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნული ყოფილა. ჯერ კიდევ სძინავს ხალხს.

— ცალი თვალი გამოხელილი აქვ!

— არაფერია, დავახუჭვინოთ.

— ჯერ გამოხელა იყო ძველი და ახლა დახუჭვინება აღარ მოხერხდება... ველარ მოვატყუებთ, მარილის წატლაკვინებით.

— მაშ რა ვქნათ? ბადავიწყვეტოთ სასოება?

— არა!.. ბავსწიოთ!.. ხიდი ჩასტყდა... მობრუნება აღარ მოგვიხერხდება და ის მდაბალი ხალხიც ერთად „იმათთან“ ვამსხვერპლოთ ჩვენს კეთილ-დღეობას... ჩვენი ურგები ჯორი მგელს შევაჭამოთ!.. მიხვდით?...

— მივხვდი და საშუალებაც მზათა მაქვს.

— რა გვარი?

აკაკი

(გაგრძელება)

✱ ამაევ გაზეთში დაბეჭდილია, რომ ერთს ოდესის მცხოვრებელს იქაური ღარიბებისათვის თავის საკუთარი სახლი შეუწირავს. მთელი ორ ეტაჟიანი სახლი დაუცლია და ოდესის ობერ-პოლიციმეისტრისთვის შეუტყობინებია, რომ ამ სახლში ჩვენი ქალაქის ღარიბები შეგიძლიანთ დააყენოთო.

✱ მინსკის სამოსამართლო პალატის გადაწყვეტილებით, ქალაქის პინსკის მოთავეს ყველა ღირსება ჩამოართვეს და ტუსაღების როტაში გაგზავნეს 2 წლითა და 9 თვით. აძასთანავე გამგეობის ყველა წევრთაც შემდეგში კენჭის ყრის უფლება წაერთვათ. მიზეზი ამისა ის იყო, რომ მოთავეს ქრთამის აღება და ბევრი სხვა უწესო და უკანონო საქმეების ჩადენა დაუმტკიცეს.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი. აი, ოთხი უმთავრესი მუხლი იმ კონსტიტუციური კანონის პროექტისა, რომელიც ვანტავონისაგან არის წარდგენილი და რომლიდამაც პირველი ორი მუხლი უკვე მიიღო ნაციონალურმა კრებამ: 1) კანონმდებელობითი უფლება დეპუტატებისა პალატასა და სენატს აქვს მინიჭებული; დეპუტატები პალატის საზოგადო კენჭის ყრით აირჩევა იმ წესით, რომელიც ალმორჩევითს კანონშია განსაზღვრული. სენატის წევრები ცალკე კანონის ძალით ამოირჩევა ან დაინიშნება. 2) რესპუბლიკის პრეზიდენტს აქვს უფლება დეპუტატების პალატის დათხოვნისა. ამ შემთხვევაში ახალი პალატის ამორჩევა ექვსი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს. 3) ყველა მინისტრები ერთად ორივე პალატის წინაშე არიან მმართებლობის საზოგადო პოლიტიკაში პასუხის მგებელნი და ცალ-ცალკე თავის მოქმედებაში. რესპუბლიკის პრეზიდენტი მხოლოთ სახელმწიფო ღალატშია პასუხის მგებელი. 4) თუ 20 ნოემბერს 1880 წელს, როდესაც მაკ-მაჰონის შვიდი წლის პრეზიდენტობა გათავდება, ან თუ ამდროამდი პრეზიდენტმა თანამდებობას თავი დაანება, მინისრების რჩევა ორივე პალატას მოიხმობს, შესდგება კანგრესი, რომელიც შესაფერ განკარგულებას მოახდენს. კონსტიტუციური კანონების გადახედვა მხოლოთ რესპუბლიკის პრეზიდენტის წინადადებით შეიძლება.

ამ მუხლებზეა ახლა ვერსალის ნაციონალურ კრებაში გაცხარებული სჯა.

ამბობდნენ, რომ მაკ-მაჰონი კონსტიტუციურს კანონებზე მოლაპარაკებისაგან და საზოგადოთ საფრანგეთის ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობისაგან ისეთი უკმაყოფილო არისო, რომ პრეზიდენტობის მიტოვებას აპირებსო; მაგრამ ეს ხმა სრულიად უსაფუძვლო გამოდგა. პრეზიდენტობის მიტოვება მაკ-მაჰონს თავშიაც არ მოსვლიაო, ასე იწერებიან ფრანცუზულს გაზეთებში.

— ახალი სამინისტროს შედგენის თაობაზე არაფერი არ ისმის; როგორც სჩანს, კონსტიტურიური კანონების მიღებამდი, ისევ ძველი სამინისტრო დარჩება, რადგან ამისთანა დროს სამინისტროს შედგენა ყველას ეშინიათ, ორ დღეს მეტს ვერ გასძლებსო.

— პარიჟში ბევრს ლაპარაკობენ ახლა იმ ჩვენებაზე, რომელიც პარიჟის პოლიციის პრეფექტს კამისიის წინაშე მიუცია ბონაპარტისტების აგიტაციის თაობაზე. ლეონ რენოს დაწერილებით ულაპარაკია იმათ შეთქმულობაზე, იმათ ინტრიგებზე და მოქმედებაზე, რომლიდამაც ცხადათ სჩანსო, რომ ახლანდელი მმართებლობის გადაყენება ჰსურთ და ნაპოლეონის დინასტიის გაიმპერატორებისათვის არაფერს საშუალებას არ ზოგავენო. იმან დაასახელა ყველა პირები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ ბონაპარტიულ პარტიაში; იმათ თავიანთ პოლიცია ჰყავთ, თავის ადმინისტრაციაო და სხვ.

ვნახოთ, რა შედეგი ექნება, ამ ოფიციალური პირის ჩვენებას: რიგიანად მოჰკიდებს მმართებლობა ამ საქმის გამოძიებას ხელს თუ ისევ ძველებურად იმათ მხარეს დაიჭერს. ნეტავი რა გუნებაზე უნდა იყოს ბონაპარტისტების მოთავე—ოუერი, რომელიც ბამბეტას და მთელს კრებას პატიოსანი სიტყვით (?) უმტკიცებდა, რომ ბონაპარტისტებს პარიჟში არავითარი საიდუმლო საზოგადოება არ აქვთო!

იტალია. გაზეთებში ბარიბალდის რომამდი მოგზაურობის აწერა კიდევ არ გათავებულა. სხვათა შორის, ამბობენ, რომ სასტუმროდამ რომ გამოვიდა პარლამეტში წასასვლელად, უნგარიშო ხალხი დახვდაო და იმ გზას, რომელიც მეოთხედ საათში უნდა გაევლო, ოთხი საათი მოანდომა იმის ფაეტონმაო: გარშემო ხალხი ეხვეოდა, და აღტაცებით ჰყვიროდა: „ბარიბალდის გაუმარჯოსო!“ და ფაეტონს გზას არ აძლევდა. ბოლოს ბარიბალდიმ გაჩერა ფაეტონი; წამოდგა ფეხზე და მღელვარე ხმით უთხრა თურმე ხალხს რამდენიმე მგრძნობიარე და მადლობის სიტყვა.

ქრონიკა

სტატია XIII

—

ქართველები მონგოლებმა, სპარსებმა და თურქებმა ვერ გააქრეს—ეს ამისთვის, რომ ჩვენ ვგქონდა ქრისტიანობრივი რჯული, იმათ მახმადიანობრივი სარწმუნოება და კერპთაყვანის-მცემლობა. ხალხობანობის დასაცველად სარწმუნოება ხალხისა ისრეთი თავდიდური არის, როგორც დარბაზისათვის სვეტი და ბურჯი. თუ დამორჩილებული ხალხის სარწმუნოება სხვაა და მძლავრი ხალხისა სხვაა, მაშინ ეჭვი არ არის, რომ დაპყრობილს ხალხს შიში არა აქვს თვისი გაუქმებისა და მძლავრი ხალხისაგან ჩანთქმისა, ამისათვის რომ ამ ორ ხალხს შორის არასოდეს არ შეიკერის ზნეობითი კავშირი. ამ გვარს შემთხვევაში უფრო მძლავრი ხალხი ჩაინთქმის ხოლმე, ვიდრე დამორჩილებული, რადგან მოსული ხალხი დროსა და დროს განმავლობაში ქვეყნის მდებიარეობისა, ავვისა და რელიგიური გავლენისა გამო იცვლება და უახლოვდება ცხოვრებით, ხასიათით და აგებულობით იმ ხალხს, რომელიც იმან დაიპყრა და დასახლდა იმის მიწა-წყალზე. მე შემეძლო ფაქტიკურად დამემტკიცებინა, რომ მრავალმა მონგოლმა სრულიად მიიღო ქართველობა; მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის.

სარწმუნოებით ხალხის გადაჯილაგება მონგოლებს ესმოდათ თუ არა, მე ამას არ დავამტკიცებ; მაგრამ 1290 წელს მრავალმა მონგოლმა მიიღო მახმადიანობა და მოინდომეს ქართველების გამახმადიანებაცა.

ხორანში შესდგა საზოგადოება, რომელსაც უნდა გაეწყვეტა ქრისტიანები, უკეთუ არ მიიღებდნენ მახმადის რჯულსა. როგორც „ქართლის ცხოვრება“ ამბობს, 420 კაბადონზე, ამ საზოგადოებამ მიიღო მოქმედების დეეზად ყორანის შემდეგი სიტყვები: „უკეთუ მოჰკლათ ქრისტიანე, სამოთხეს შემოსვლად ხართ, და უკეთუ მათგან მოიკლათ, მაშინცა შემოსვლად ხართ.“ ამ საზოგადოებამ გამოირჩია სამასი კაცი. ესენი გავიდნენ ფირლად და საცა ერთს ან ორს ქართველს ნახავდნენ, უწყალოდ ჰკლავდნენ. ეს შეიტყეს ქართველებმა და ძლიან იწყინეს და ისურვეს მაგიერის გადახდა.

ერთს ღღეს ბრიგოლ სურამელის შვილი რაჟი წავიდა რამდენიმე ქართველებით ამ ყაჩაღების მოსაძებნად: იპოვა ერთ მთაში, უეცრად თავს დაეცა, ზოგი ამოწყვიტა, ზოგი ცოცხალი დაიჭირა და წარუდგინა მეფე დიმიტრი თაყვანდებულს. მეფემ ძლიერ დაუმადლა რაჟის, და გამოჰკითხა დატყვევებულს მონგოლებს, თუ ვისის ბრძანებით ხოცავენ იაინი ქართველებს.

ამათგან შეიტყეს ქართველებმა, რომ აჰმადა ყაენს მიეღო მახმადიანობა და ამის ბრძანებით ხოცდენ ქრისტიანებს. ეს ქართველებს ძლიერ ეწყინათ: ამისთვის ბულამ და ციასბულამ, რომელნიც ჩამამაელობით ნახევარი ქართველნი იყვნენ, იმდენი იქიშპეს აჰმადასი და არღუნის შუა, რომ ესენი ერთმანეთს შეაძულეს და მტრად გახადეს; ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ერთ ღამეს ქართველებმა დაიჭირეს აჰმადა, მოაშთვეს და მის მაგიერად ყაენ დასვეს აბაღას შვილი არღუნა. მაგრამ ეს არღუნიც, დიმიტრი მეფის მოკლის საბადლოს გადასახდელად ქართველებმა იმდენი იქიშპეს, რომ ნოინებს ის ერთ ღამეს თოკით დაახრჩობინეს.

ამასობაში მონგოლებში უფრო და უფრო უთანხმობა ძლიერდებოდა და ქართველები მიმართულებას აძლევდნენ იმათ პოლიტიკას. არღუნი რომ მოკვდა, ორმა მონგოლმა მოინდომა ყაენობა. თუქალი დაჯდა სომხეთში და ბაზანი ხორასანში. ქართველები მიუდგნენ სომხეთში მყოფს. ამ დროს ერთი საბერძნეთის პატარა ქალაქი ტუნლუზალო გაუდგა მონგოლებს. უკანასკნელებს იქ მცხოვრები ქრისტიანების ამოწყვეტა უნდოდათ; მაგრამ ქრისტიანები შეიყარნენ ერთს კუთხეში და ქართველებს შემწეობა სთხოვეს. 427 გვერ. „ქარ. ცხოვ.“ ამბობს:

„ქრისტიანენი ერთსა ყურეში შეკრებულ იყვნეს, და ევედრნეს დავითს რათა შეიწყალნეს, და ყაინმან არა ბოროტი უყოს: დავითმა უსმინა, დამცველნი დაუდგინა და დაიცვა, და აღიღო ხარჯი და საჭურჭლე ურიცხვი დ. მიერ წარმოვიდეს“.

ამის შემდეგ სომხეთში მჯდომმა ყაინმა და დავით მეფემ პირობა შეჰკრეს, რომ მეგობრები ვიყვნეთ და ერთად ვიმოქმედოთო. მაგრამ სადუნის შვილი ხუტლუ ბუღა არღუნის შვილს უაზანს მიემხრო, ამისთვის დავით მეფემ იმას დმანისი ჩამოართვა. ასტყდა ხორასნისა და არარატის მონგოლების შუა ომი; უკანასკნელნი დამარცხდნენ, ამისთვის რომ ქართველები არ მიეშველნენ სომხეთის მონგოლებს, რადგან უნდოდათ იმათი შესუსტება. თუქალი ყაენი სამცხეში ბექასთან გამოიქცა და სთხოვა შემწეობა. ბექამ სიხარულით დაიჭირა იმისი მხარე, და თუმცა უაზან-ყაენი ბექას სთხოვდა თუქალი ყაენი მომეცით, მაგრამ ბექამ არ მისცა, „არამედ, იურვა, რათა შეუნდოს.“ თუქალი შეირიგეს, მაგრამ მალე ღადრობით მოჰკლეს.

ამ გვარის მოქმედებით მონგოლების ერთობას ბექამ და დავითმა ფაფა მოუხარშეს. თუქალი ყაენის შემდეგ ყაენად ხორასნისა და სპარსეთისა დარჩა უაზან ყაენი. ეს კაი კაცი იყო: მაგრამ ამას ჰყვანდა ძმა ნაროზი, რომელიც მახმადიანობდა. ამას ქრისტიანების ამოწყვეტა ჰსურდა, და საცა ნახავდა ქართველს, მაშინვე ჰკლავდა. ბერეთვე უნდოდა საქართველოში ეკლესიები დაექცია და ქრისტიანობა გაეუქმებინა. ეს ქართველებმა იწყინეს: აუმტერდნენ ნაროზს, ჯერ შეასმინეს უაენთან. უაენმა მოკვლა მოინდომა. ნაროზი გაიქცა, მაგრამ ხუტლე-ბუღა გამოეკიდა უკან, დაიჭირა და მწარე სიკვდილით მოუსპო სიცოცხლე.

ქართველებმა მტერი ნაროზიც რომ გაისტუმრეს საიქიოს, ახლა მონგოლებს უარი უყვეს მორჩილებაზე და შეუთვალეს, რომ თუ არ დაგვეხსნებით, ჩვენ რუსეთის ყაენს ოთახას დავემორჩილებითო. ამაზე უაზან ყაენი ისრე შეშინდა, რომ მონგოლებში ერთობის აღდგენის იმედი სრულიად დაჰკარგა.

ასრე და ამ სახით ქართველები უთხრიდნენ სპარსეთის მონგოლების ერთობას და ძლიერებას ძირს და ემზადებოდნენ თავის განთავისუფლებას.

ინგილო ჯანაშვილი

საგაასო

მოვახსენებთ „მელუს“ ალუს

—

კარგია და საამო გასაგონი ტკბილი სიტყვა, თუ იმას შესაფერი საქმეც თან მოსდევს და უმისოთ კი ენის ღალვაა.

დიდი ხანია რაც სომხის ახალგაზდები სიტყვით გვესალამურებიან, მაგრამ, როდესაც საქმეზედ მივარდა, მაშინ კი იკვინტეს ზოგიერთებმა და გამოესარჩლენ ვითომც რალაც შორეულს ჰზრს, მაგრამ იმ გამოსარჩლებითვე ხელს აფარებენ გასაკიცხავს საქმეს!..

ქალაქის გამგეობა და ქალაქელი სომხები სულ სხვა და სხვა არიანო! ჰმ. მართლა? მაშ ეგენი სადაური სომხები არიან? მართალია, ქალაქელი სომხების ზოგიერთი ნაწილი ისეთია, როგორც თქვენა ჰფიქრობთ, მაგრამ მათში კარგნიც ურევიან, ამისათვის ხმას ნუ ამოიღებთო, თორემ ჩვენ არ შეგვიძლიან არ გამოვესარჩლოთო!.. ჰმ... მართლა? ხოჯახანმა რომ Oფილისი აიკლო, იმ დროს იმათში ზოგი სპარსელი ჩვენსკენაც იყო, მაგრამ!.. მაგრამ რაო?

ეჰ რალა ბევრი ველაპარაკოთ? ბანა თვითონ კი არ იციან? ჩვენი მოტყუება ამ საქმეში ტყვილი ფიქრია!... აქაც ხომ ზომა და წონა არ არის?

დღემდი თუმცა კი ეჭვში ვიყავით, მაგრამ, ცოტაც იყო, კი გეჯერდა მათი ტკბილი სიტყვა და დღეს კი, როდესაც „დროების“ № 7 დაბეჭდილი ჩვენი სტატია საშინლათ მოხვედათ, მაშინ კი გამოაჩნდათ, თუ რა აზრებიცა ჰქონიათ გულში. Oარ ცეცხლ შუა არიან: არც უნდათ, რომ პირ-და-პირ გამოტყდენ იმაში, რასაც ჩვენა ვფიქრობთ მათზედ და არც ის უნდათ, რომ მოთმინებით ჩაჰყლაპონ ჩვენგან ნათქვამი სიტყვა, და რალაც მიედ-მოედებიან. მიხვეულ-მოხვეულად ხვანცარიკობენ და სულ სხვაზედ ბაასობენ, ვითომ ჰაზრი ვერ გაიგეთო!..

სხვათა შორის „მელუც“ მოჰყვა რალაც ზღაპარ-სიტყვაობას; ეტყობა, ზღაპარი უყვარს; მაშ ჩვენც ვეტყვით „მელუს“ „ალუს.“ მართალია, ჩვენ ისეთს მდგომარეობაში ვართ, რომ სასარგებლო იქნებოდა, საზოგადო მტრის, ე. ი. უმეცრებისა, ცრუმორწმუნოებისა, ცუდი ეკონომიური მდგომარეობის წინააღმდეგ ერთად გვიბრძოლა. მაგრამ ამ საგნის თაობაზე მოვახსენებთ „მელუს“ ერთს ზღაპარს:

ერთხელ კოლო მიფრინდა ბუზთან და უთხრა:

— ჩემო, გვარის კაცო!. ხომ ჰხედავ, რომ დედა-ზარდლი ჩვენი ორიესი მტერია, ქსელს აკეთებს და შენ გვაბამსო? შენ ცალკე უბზუი, და მე ცალკეო!... მოდი დღეის იქით ერთმანეთს ჩაეკიდოთ ხელი, რომ სიმჩალტე მოგვაკლდეს, დავმძიმდეთ და ისე ვფრინოთო და თუ ვინიცობაა სადმე დედა-ზარდლის ქსელი ენახოთ, ვეცოთ და გაეგლეჯოთო!

მოეწონა ეს ჰაზრი ბუზს და დაეთანხმა. შეაჯდა პატარა კოლო ზურგზედ მოდიდო ბუზს და ისე დაიწყეს ფრენა. — მაგრამ ზგაზე კოლომ ბუზს დაუწყო კბენა და სისხლის ამოწოვა. ბუზმა ითმინა, და რომ მეტი ვეღარ შეძლო, უთხრა კოლოს:

— მეზობელო ან მომშორდი და ან ნუ მკბენ, ლამის სული ამომხდესო!.

— რაო? რაო? რას ამბობო? შეექნა კოლომ წივილი: შენ გინდა, რომ დამშორდე და განცალკევედეო? ვერ ხედავ, შენ თვალ-დამდგარო, რომ ჩვენი მტერი სადღაც შორს ქსელს გვიმზადებსო?..

— ეხედაო, მიუგო ბუზმა, მაგრამ სანამ მე იქამდინ მიეფრინდებოდე, მანამდი შენ ვე გამომილეე ძალ-ღონეს და ტყვილათ რალათ ვიტანჯო თავიო?“...

ამ ზღაპრისა არ იყოს, „მელუ“ რჩევას გვაძლევს — და ვეარიგებს შორს-მხედველობა ვიქონიოთ. აკეთილი!.. მაგრამ სანამ ჩვენ დურბინდს გავაკეთებინებდეთ, რომ შორს გავხედოთ, მანამ ხომ ეგ თვითონ ამოგვთხრის თვალს და დურბინდი რალათ გვინდა?

აკაკი.

ნარევი

პოლიციას აღმოუჩენია პეტერბურღში ერთი ისეთი სახლი (შკოლა), სადაც ღირსეულად დახელოვნებულ ოსტატს პატარა შაგირდები მოეგროვებინა და ქურდობის ხელობას ასწავლიდა. რალა თქმა უნდა, რომ ეს ოსტატი პოლიციამ იმ წამსვე დაატუსალა; შეგირდები კი იმ კალონიაში გაგზავნეს, სადაც ახალგაზდა დამნაშავეებს წერა-კითხვასა და რომელსამე ხელობას ასწავლიან.

* * *

პეტერბურღლიის გვარდიის აფიცრებს შესანიშნავი დოღის გამართვა განუზრახავთ: ვისაც ამ დოღში საჩუქრის მოგება ჰსურს, 21 დღის განმავალობაში 1,750 ვერსი უნდა გაიაროს ცხენით, ე. ი. დღეში 83 ვერსი. უკიდურესათ წერტილები დოღისა არის პეტერბურღი და ვენა. აფიცრებს ცხენის ცხენების იმედი აქვთ, რადგან, როგორც ამბობენ, ამ ცხენებს ბევრი სიარული შეუძლიანთო.

ვინც ამ პირობებს შეასრულებს, საჩუქრად 75 ათას მანეთს მიიღებს.

* * *

ჟენევის ერთს სამეცნიერო ჟურნალში („Archives des Sciences“ დ-ბეჭდილია უფ. ერნესტ ფავრის ძლიერ საინტერესო სტატია ქავკასიის მთების გეოლოგიაზე. სტატიის ავტორს ორჯელ დაუვლია ჩვენი ქვეყანა.

* * *

საფრანგეთის გეოგრაფიული საზოგადოების ჟურნალში გამოანგარიშებულია, რომ მარტო ამ საუკუნის განმავალობაში აფრიკაში ას ოთხმოცი მეცნიერი მოგზაური დაღუპულა.

* * *

ამერიკის უმაწვილებს საიდამლაც შეუტყვიათ, რომ ამდროინდელი საუკეთესო საუმაწვილო ზღაპრებისა და მოთხრობების მწერალი ანდერსენი დიდს სილარიბეში და გაჭირვაში ცხოვრებსო. ამის გამო „ი“ ხელის მოწერა გაუმართავთ, ფულები მოუგროვებიათ და გამოგზავნას უპირებდნენ თურმე; მაგრამ ამ დროს ანდერსენისაგან მადლობის წიგნი მიიღეს, რომელმაც აცნობებდა, რომ დანიის მთავრობამ ჩემი შრომა დააფასა და სამყოფს პენსიას მაძლევსო. ამ ჟამად დანიაში სახალხო ხელის მოწერაა გამართული და ამ ანდერსენს სიცოცხლეშივე ძეგლის დადგმას უპირებენ.

ოთხის თვის ანგარიში თიოლნეთის გამსესხებელ შემნახველის ამხანაგობისა

(იგივე ერთის წლის 1874 წ.)

წევრებათ ირიცხებიან ამხანაგობაში 207 კაცი.

ა) შემოსავალი:

1 წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული. . . . . 2708 მ.—80 კ.
2 სარგებელი აღებული გასესხებული ფულისაგან . . . . 210 მ.—90 კ.
3 ამხანაგობამ ისესხა კერძო პირებისაგან . . . . . 1150 მ.—„—
4 სასარგებლოთ შემოტანილი წევრთაგან . . . . . 200 მ.—„—
5 დაბრუნდა სესხი ვადის გასვლამდინ . . . . . 50 მ.—„—
6 მიღებულა სარგებელი თბილისის საეკონომო ბანკიდამ . . . . 4—„—
7 სხვა და სხვა . . . 64 მ.—79 კ.

სულ შემოსულა. .4388 მ. 49 კ.

ბ) გასავალი

1 გასესხებულა . . . 3485 მ.—„—
2 დახარჯულა გამგეობაზედ . . . . . 197 მ.—25 კ.
3 სარგებელი დაბრუნებული ვადაზედ წინეთ გადახდილის ნასესხისა 1 მ. „
4 სარგებელი მიცემული სასარგებლოთ შეძოტანილის და ნასესხის ფულებზედ . . . . . 27 მ.—„—

სულ გასულა. . 3710 მ. 25 კ.

3) კასსა

1 შეტანილია თბილისის საეკონომო ბანკში . . . . . 400 მ.—„—
2 ნაღდი ფული არის კასსაში . . . . . 278 მ. 24 კ.

678 მ. 24 კ.

თანხმად § 70 წმინდა მოგება გაინაწილა:

1 სათადარიგო თანის შესადგენლათ . . . . . 5 მ. $40^2/_5$ კ.
2 მოგებაწილადის ფულისა 49 მ. $3^1/_2$ კ.

54 მ. 44 კ.

1 იანვარს 1875 წელს არის:

1 წილის ფული . . 2708 მ. 80 კ.
2 სასარგებლოთ შემოტანილი 200 მ. „
3 სესხი შემდგომში 1150 მ. —„—
4 სათადარიგო თანი. .5 მ. $40^2/_5$ კ.
5 მოგებაწილის ფულზედ. 49 მ. $3^1/_2$ კ.

სულ . . . 4113 მ. 24 კ.

1 გასესხებული მიუცემლად ახალის ვადისა. . . . . 3435 მ.—„—
2 თბილისის საეკონომო ბანკში არის . . . . . 400 მ.—„—
3 ნაღდი ფული არის კასსაში . . . . . 278 მ 24 კ.

სულ . . . 4113 მ. 24 კ.

გამგეგელნი { პეტრე ბაქრაძე, ვასილი დადიანი, თ. ლევ. ჯანდიერი

რკ. გზა.	ღილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Oფილისი .	8	18	8	17				
მცხეთა. . .	9	18	10	—	-	68	-	38
ბორი . .	11	39	1	43	2	40	1	23
სურამი . .	1	52	4	30	3	92	2	18
ბეჟათუბანი	3	45			4	42	2	46
ყვირილა .	6	49			5	81	3	23
ქუთაისი. .	7	55			6	75	3	75
სამტრედია.	9	2			7	73	4	29
ახ.-სენაკი.	10				8	57	4	76
ფოთი. . .	11				9	75	5	42
ფოთი . .	7	38						
ახ.-სენაკი.	9	11			1	18	-	66
სამტრედია.	10	12			2	6	1	14
ქუთაისი .	11	17			3	4	1	69
ყვირილნ.	12	38			3	98	2	21
ბეჟათუბანი	3	27	ღამე		5	33	2	96
სურამი . .	4	57	12	30	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	31	7	36	4	9
მცხეთა . .	9	52			9	8	5	4
Oფილისი	10	49	8	2	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ:

Oდესისკენ — ხუთშაბ. საღ. 6 საათ.

სტამბოლს — კვირაობით ღილას.

ბ) სოხუმიდამ:

ფოთს — ოთხშაბათს, ღამით.

Oდესას — პ რასკევს, გათენებისას

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Oდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Oცი სიტყვა Oფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სილნახს		50
როსტოვს Oდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
Oსტალეთში, შვეიცარიაში	3	—
Iტალიაში და საფრანგეთში	3	50
Iნგლისში.	3	75

ფოსტა

ა) Oფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდიდს, ოთხშ., Oზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შ.ბ. ყარსეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

Oფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. Oზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან — ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში:		კაპ
Iა წიგნის		5
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .		10

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 12 იანვარს.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $33^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $349^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	97	75
მოგებიანი (პირველისსხი)	195	-
მოგებიანი (მეორე სესხი)	195	-
ბირაოს ფურცლები:		
Oფილ. საზნ. ბანკისა.		
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	84	50
მოსკოვის (5%). . . .	86	50
აქციები:		
Oდესის საეკონომო ბანკის.	235	—
ფოთი-Oფილ. რკინ. გზის	133	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	560	—
ქავკაზის და მერკურის. .	168	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	257	65

მაზანდა

	მან	კაპ.
Oფილისი, 30 იანვარს.		
პური. შორაგალის ფთ.	1	10
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა. ერევნისა, ფუთი .	5	65
— ამერიკისა, ფუთი. .	6	60
ბ პინტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ.	6	40
— Oარაშამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	60
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	70
სპირტი, ვედრო. . .	7	—
შაქარი, კარგი ფუთი .	8	50
— ფხვნილი ფუთი . .	7	—
ყავა გრგვალი ფუთი .	19	50
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6	70
Oქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	5	90

Дозволено цензурою. Тифлисъ, 31 Января 1875 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი